

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030416089115914

04-243/ო

09 / აგვისტო / 2014 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის №04-429/ო ბრძანებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 4 აგვისტოს N04-12967 მიწერილობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბატონი დავით სერგეენკოს დადებითი რეზოლუციის გათვალისწინებით, მიმწოდებლების მიერ საინფორმაციო პორტალზე სამედიცინო მომსახურების ნუსხის განახლებისა და სატარიფო არეალების დაანგარიშების ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებას მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) 2014 წლის 1 აგვისტოდან გაცემული მატერიალიზებული ვაუჩერებისთვის, საინფორმაციო პორტალზე არსებული სამგანზომილებიანი კონფორმული ტექნიკით განხორციელებული სხივური თერაპიის მომსახურების დაჯგუფება მოხდეს ამ ბრძანების დანართი N6-ით გათვალისწინებული წესით.“.

2. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებას დაემატოს დანართი N6, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.

3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, ასევე, სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი) ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ ცვლილებებზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



გაიოზ თალაკვაძე

**დანართი N6- სხივური თერაპიის მომსახურების ჯგუფები**

<b>მომსახურების ტიპი</b>	<b>ჩარევის სახეობა</b>
ამბულატორია	პალიატიური და სამკურნალო რადიოთერაპია
ამბულატორია	ბრაქიტერაპია დაბალი დოზის კურსით (LDR)
ამბულატორია	ბრაქიტერაპია მაღალი დოზის კურსით (HDR)